რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ... სტრიქონზე—8 კაპ. ... ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

**გაზეთის ფასი**

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა— — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა— — — 1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

### რედაქციისაგან

ზოგიერთი ჩვენი ხელის-მომწერლები, წინა წლების მიხედვით, წელსაც ნახევარი წლის ფულს 4 მანეთს და 4 მანეთსა და ათ შაურს იგზავნებიან და არა ხუთ მანეთს, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული და ახლაც ვაცხადებთ ხოლმე გაზეთში.

საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ გვარ ხელის-მომწერლებს, რომ ვისაც 4 მანეთი აქვს რედაქციაში შემოტანილი, იმათ მხოლოთ ამ წლის 1 ივნისამდინ მიუვათ გაზეთი და ვისაც 4 მან. და 50 კაპ., იმათ კი ივლისის 15 რიცხვამდინ, თუ დანაკლისს ფულს არ შემოიტანენ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 13 იანვარს. ინგლისის ცეცხლის-გემი „ალინა“, რომელსაც პური მიჰქონდა ანტვერპენში, ბოსფორის წყალში დაეჯახა მეორე ცეცხლის-გემსა და დაიღუპა. ხალხი კი არავინ დაღუპულა.

**ბუხარესტი**, 12 იანვარს. დღეს მოვიდა აქ სავფეტ-ფაშა, რომელიც ინახულა მთავარმა კაროლოსმა.

**ტრიესტი**, 12 იანვარს. ავსტრიის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ექიმებმა უნდა დახედონ ყველა საქონელი, რაც კი რუსეთიდამ მოდისო.

**პარიჟი**, 14 იანვარს. პერიდგან გვაცნობებენ ხონთქრის ავათმყოფობას.

**რაგუზა** 15 იანვარს. რადგან ბერლინის ტრაკტატი ამ მოკლე ხანში უნდა აღსრულდეს შესახებ ჩერნოგორიისა, ოსმალებმა დაიწყეს გადასახლება პოდგორიციდგან და სპუჟიდგან შაბლიაკში და სკუტარში.

**კალკუტტა**, 15 იანვარს. იაკუბ-ხანმა აიღო ფორტი ჯეელეთი, რომელიც ბილზაგებს ეკუთნოდა; რამოდენიმე კაცი აიყვანა ტყვეთ. ამის გამო გილზაგები აჯანყდნენ იაკუბ-ხანის წინააღმდეგ.

**ბელგრადი**, 14 იანვარს. სკუპჩინამ ერთ ხმად მიიღო მმართებლობის კანონთ პროექტი შესახებ მოსპობისა იმ კონსტიტუციის მუხლისა, რომელიც ურიების უფლებაებს იცავს.

## საქართველო

### დღიური

*** ძალიან სანწუხაროა, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქების უმაღლესს სასწავლებლებში მყოფი ჩვენი ყმაწვილკაცები სრულიად არაფერს იწერებიან, საზოგადოთ, თავიანთ მდგომარეობაზე. ხშირად რომლისამე ყმაწვილის უკიდურესს მდგომარეობაზე, გაჭირებაზე და თვით სიკვდილზედაც ჩვენ მხოლოთ კერძო პირებისაგან შემთხვევით ვტყობულობთ.

ურიგო არ იქნება, რომ ამ მოსწავლე ახალ გაზდობამ მომეტებული კავშირი იქონიოს იმ საზოგადოებასთან, რომლის სამსახურისთვისაც ისინი ემზადებიან. ამიტომ კარგი იქნება, რუსეთში თუ სამზღვარ გარეთ მოსწავლე ახალგაზდებმა შეგვატყობინონ: თუ რომელ ქალაქის უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლესს სასწავლებელში რამდენი მოსწავ-

## ფელტონი

### როგორი აღზდა გვეჭირება ჩვენ?

(მუძღვნი ჩვენ მშობლებს)

(დასასრული)

ჩვენ შევეძლო მოგვეყვანა მრავალი ამისთანა პრაკტიკული მაგალითები; მაგრამ მგონია თქმულიც კმარა მკითხველის დასარწმუნებლად, რომ ბარბაროსული სახსრებია, რომლების შემწეობით აქამომდე ვზრდიდით შვილებს, რომ სხვა გზით ათასჯერ უკეთესად შეიძლება აღზდა. ბავშვს უნდა უყურებდეთ არა როგორც ავტომატს, არამედ როგორც ცოცხალს, გონების და გრძნობის მქონე არსებას, რომელსაც თვისი საკუთარი ძალითაც კარგათ შეუძლიან შეიძინოს ქცევაც, ცხოვრებაც, ცოდნაც, ზნეობაც, ცოტაოდენი შემწეობით ჩვენის მხრით.

ბავშვი უნდა აკეთებდეს კეთილს იმიტომ, რომ უყვარს კეთილი და არა იმიტომ, რომ ამისათვის მას მოელის ჯილდო! მან არ უნდა ქმნას ბოროტება იმიტომ, რომ სძულს ბოროტება და არა იმ ტომ, რომ ბოროტების ჩადენისათვის მას მოელის სასჯელი! უნდა უნერგავდეთ იმ რწმუნებას, რომ უდიდესი ნეტარება ადამიანისა იმყოფება თვით კეთილში და უუდიდესი სასჯელი თვით ბოროტებაში!

ნუ ელოდებით და ნურც ითხოვთ ბავშვისგან ზნეობით სრულ-ყოფას. არა თუ უ უნურებაა დააწესოთ მაღალი ზნის მოთხოვნილებანი ყოველი წლოვანებისათვის ერთგვარი, არამედ ისიც უგუნურებაა, რომ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდეთ, რათა ბავშვები დაურღვევლათ აასრულებდნენ მაღალი ზნეობის მოთხოვნილებებს. აწ დამტკიცებულიც და აღიარებულიც არის, რომ უდროვო გონებითი მომწიფება, გაღსნილობა ბავშვებისა ძლიერ მავნებელია. აგრეთვე მავნებლად უნდა აღიაროს უდროვო მაღალი ზნეობითი მომწიფება, გაღსნილობა. თუ არ ამით, მაშ რითი აიღსნება ის მოვლინება, რომ მრავალჯერ იგინი, ვინც პატარაობაში იყვნენ სამაგალითონი ზნეობით, შემდეგ, დიდობაში, სრულიად პირიქით სურათს წარმოგვიდგენენ, და რომელნიც სრულიად იმედს არ გვაძლევდნენ კეთილის ზნეობისას, იგინი სამაგალითო ზნეობისა იზრდებიან? ამიტომ კმაყოფილნი ვიყვნეთ ზომიერი საშუალებების ხმარებით და ზომიერი ნაყოფის მოცემით!..

—

გადვიდეთ ახლა თეორეთიკულ საშუალებებზე აღზდაში. ზევით, სხვათა შორის, ჩვენ ბევრი თეორეთიკული საშუალებანი და ჰაზრები გამოვთქვით; აქ ვსთქვათ ერთათ-ერთზე.

ლი იმყოფება, რა საგნებს სწავლობენ ისინი, რა მდგომარეობაში არიან, ეჭირებათ დახმარება, თუ არა, და სხვ. და სხვ.

როცა ამგვარი ცნობები გამოცხადებული იქნება, შესაძლებელია, რომ საზოგადოება ხელის-მოწერით, თეატრისა ანუ ლიტერატურულის საღამოს საშუალებით, ან სხვა რამე ღონის-ძიებით დაეხმაროს ისეთ მოსწავლე ახალგაზდებს, რომელთაც დახმარება ეჭირებათ. და ამ გვარს დახმარებაში, იმედია, ახალგაზდები არავითარ სათაკილო და თავის თავმოყვარეობისათვის დასამცირებელ რასმე არ დაინახვენ, რადგან შემდეგში, როცა ეს ახალგაზდები დაბრუნდებიან ჩვენში, საზოგადოება ამათგან ერთი-ორად მოელის თავის ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანას...

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ამ დღეებში Tფილისის სასულიერო სემინარიაში ისეთი საძაგელი ძველი თევზი მიუტანიათ შაგირდებისათვის, რომლის შეჭმა ყოვლად შეუძლებელი იყოვო და ამის გამო მომეტებულ ნაწილ ყმაწვილებს (თუმცა დამშეულებს) ხელი არ უხლიათ ამ თევზისათვის. ზამოჩენილი ინსპექტორი ამ სემინარიისა უფ. კუვშინსკი ამ გარემოებას (ე. ი. იმას, რომ შაგირდებმა არ სჭამეს ეს თევზი და არა იმას, რომ გაფუჭებული თევზი იყო!) ძალიან გაუჯავრებია და დაუწყია ყვირილი: „ვისაც გნებავთ, სჭამეთო და ვისაც არა, ადექითო!“ პური კი თეთრი აქვთ ამ ჟამად თურმე სემინარიაში, მაგრამ ისიც შჭად-ნარევი.

*** თუ ახსოვს მკითხველს, გაზეთს „კავკაზში“ დიდის ამბით იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ალექსანდროვის (უფ. ზახაროვის) სამასწავლებლო ინსტიტუტში კურს-შესრულებულმა ერთმა ყმაწვილმა პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში შესასვლელი ეგზამენი დაიჭირაო. (ვითომ ისე კარგათ ამზადებს ეს სასწავლებელი თავის შაგირდებსაო!).

პეტერბურღიდამ გვწერენ ახლა, რომ ეს ამბავი ტყუილიაო, არცერთ უფ. ზახაროვის შაგირდს არცერთს უმაღლესს სასწავლებელში შესასვლელი ეგზამენი არ დაუჭირავსო...

*** დუშეთიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ქალაქშიაც არსდება ისეთივე დამზოგველი საზოგადოება (მაღაზია, დეპო), როგორიც ამ ჟამად სოფ. საგარეჯოში იმყოფება. პროექტი ამ საზოგადოებისა უმაღლეს მთავრობასთან წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**აჭარიდგან**, 10 იან არს. ქ. ბათუმიდგან 10-ს ვერსზედ იწყება აჭარის მაზრა. ბათუმიდგან ამ მაზრამდის არის ვაკე ადგილი ტყიანი, ხოლო შემდგომ დაიწყება მაღალი მთები; ამ მთების კალთებში ჩამოდის მდინარე ჭოროხი, რომელსაც 15-ს ვერსზედ ბათუმიდგან ჩაერთვის მდინარე აჭარის-წყალი. აჭარის-წყალი თითქმის შუაზე ჰყოფს მთელს აჭარას.

ამ წყალს ორივეს მხრით ახლავს წვრილი საქვეითო გზა, რომელსაც ეხლა აკეთებს რუსის მმართებლობა, და აქეთ-იქით მაღალი კლდიანი მთები. წყლის ნაპირებზედ, მთების ძირში, მოფენილია სოფლები, რომელშიაც ცხოვრობენ მხოლოდ ოსმალონი.

სახლები საზოგადოთ იციან უმეტეს ნაწილად ორ-ოლი ეტაჟიანები, ქვევით ქვისა და ზევით ხის შენობებითა და სახურავი უფრო ხშირად კრამიტით.

ცხოვრობენ მიწის მუშაობით; უფრო ხშირად მუშაობენ ქალები, კაცების ყურად-ღება კი უფრო მიქცეულია თოფ-იარაღზედ. ზამთრით თითქმის ყველანი უსაქმოთ არიან და ავდრიან დღეებში გარეთ არ გამოდიან; ხოლო კარგ დღეებში შეგროვდებიან ჯერ თითო სოფლობით, შემდგომ რამოდენიმე სოფლის ხალხი ერთად და აქვსთ მსჯელობა თავიანთი საზოგადო საქმის თაობაზედ.

თუ ვისმეს ოდესმე სხვა პირის მტერობა ქონია, ანუ მისი მამის და პაპისა და ჯავრი არ იყარა, [illegible] ლახეთ მიაჩნიათ.

ძალიან ძვირად შეხვდებით აჭარილს კაცს, რომ თოფი მხარზ და „ფიშტო“ (დამბაჩა) წელში არ ქონდეს მოზადებული თავისი ტყვია და წამლით.

ეხლა კარგა ხანია ზემო-აჭარას და რამოდენიმე ნაწილი ქვედა-აჭარასაც ხალხი სულ ერთიანად არეულია, იყრიან თავს და გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ ერთმანეთში.

აქაური ქალები, როგორც საზოგადოთ ოსმალოს ქალები, გარეთ არ გამოდიან სახლიდამ; ვინმე დაგვინახავს და ცოდვა არისო; პირს არავის დაანახვებენ გარდა თავიანთის ქმრისა და ძალიან მახლობელის ნათესავისა. ქორწილების დროს სასძლო ქალს სასიძოს არ უჩვენებენ; უნდა ნახოს როგორია ისევე ქალმა—სასიძოს ნათესავმა და ისე ირთვენ.

ლ. ქ—ძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან, რომ მომეტებული ნაწილი მუხლები იმ საბოლოვო მორიგებისა, რომლის თაობაზედაც რუსის ელჩსა და ოსმალეთის მთავრობას შუა არის ამ ჟამად სტამბოლში მოლაპარაკება, ორთავე მხრიმ მიიღესო, და თ. ლობანოვ-როსტოვსკის უკვე მოუვიდა სტამბოლში რუსის მმართებლობისაგან თანხმობა ამ მუხლების მიღების შესახებაო. ამ ნაირად მორიგების შეკვრას რუსეთსა და ოსმალეთს შუა ამ იანვრის დამლევამდინ მოელიან.

— ამავე გაზეთის სიტყვით, სტამბოლში დარწმუნებით ლაპარაკობენო, რომ ხეირედდინ-ფაშა ამ მოკლე ხანში გამოცვლილი იქნება მთავარ-ვეზირობიდამ და იმის მოადგილეთ, ამბობენ, ...

---

ზნეობითი აღზდით, როგორც წინათაც მოვიხსენიეთ, ვცდებთ იმას, რომ აღვზარდოთ ბავშვიდამ ღირსეული მამულის შვილი, ღირსეული მოქალაქე. ამ შემთხვევაში უპირველეს საშუალებათ და სახსრად უნდა ჩაითვალოს, მცირე-წლოვანებისათვის, ისტორიული საუბრები და შემდეგში საფუძვლიანად ისტორიის შესწავლა. ისტორიულ საუბრებს მხოლოდ მაშინ ექმნებათ ძალა და გავლენა ბავშვებზე, როდესაც იგინი იქმნებიან მეგობრულათ გარდანაცემნი და რწმუნებით სავსენი.

აქ აუარებელ მასალას მისცემს მასწავლებელს სამღრთო წერილი და განსაკუთრებით ჩვენი საერო ისტორია. მაგრამ არა იმ გვარი შინაარსით ისტორია, რა გვარსაც ეხლაც გარდაჰსცემენ ჩვენ შკოლებში. როგორც აქამომდე ისტორიის გაკვეთილებზე ხელმწიფენი და სარდლები შეადგენდნენ ყველაფერს და ხალხი კი არაფერს, ასე ამას იქით ჩვენი ახალგ ზდა მოწაფეების შესწავლის საგანი უნდა იყოს თვით ხალხის ისტორია და არა მხოლოდ მეფეებისა.

ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენ ახალგაზდობას ის ფაქტები და ის ცნობანი, რომელნიც ცხადათ უჩვენებენ და აუხსნიან მათ, თუ რამ და როგორ მიიყვანა ჩვენი მამული იმ მდგომარეობამდის, რომელშიაც იგი იმყოფება ამ ჟამად. მიეცით მათ აღწერა ჩვენი ხალხის გამგებლობისა, მმართველობისა, სასამართლოისა, მაგრამ რაც შეიძლება ნაკლებათ იმ პირებზე, რომლებიც განაგებდნენ ამ საქმეს: ამის მაგიერად ყოვლის სისრულით აუწერეთ ჩვენი ხალხის დაწყობილობანი, დედა-აზრები, სახსრები, ნაკლულევანებანი, ვნებანი და სხვა ამ მმართველობისა. ამასთან გარდაეცით დედ-აზრი, მოქმედება და დაწყობილობა არა მარტო უმაღლესი მმართველობისა, არამედ ადგილობრივისაც უკანასკნელ ხარისხამდი. მიეცით აგრეთვე აღწერა სამღვდელო მმართველობისა, მისი დაწყევრებულება, მოქმედება, მისი ძალა, მისი და სახელმწიფოს ურთი-ერთ მიმართობა, აგრეთვე წესები და იდეიები მათი რჯულისა, არა მხოლოდ ის იდეიები, რომელნიც მხოლოდ სახელით ჰსწამდათ, არამედ ისინიც, რომლებიც მართლაც და სწამდათ და ამ რწმუნების და გვარად ცხოვრობდნენ და იქცეოდნენ კიდეც. ზაასცანით აგრეთვე, თუ რა გავლენა ჰქონდა ერთ წოდებას მეორეზე, როგორ ცხადდებოდა იგი საზოგადო ყოფა-ქცევაში, როგორ უწოდებდნენ ერთმანერთს, როგორ მოიკითხავდნენ და სხვ...

სულთანი საიდ-ფაშას დანიშნავსო.

— სტამბოლიდამ ნემეცურს გაზეთს „პრესში" იწერებიან, რომ ოსმალეთსა და სპარსეთს შუა სრული თანხმობა ჩამოვარდა ქოტურის მაზრის დათმობის თაობაზედაო.

### ინგლისი და ავღანი

ამერიკულს გაზეთს „ნიუ-იორკ-ჰერალდში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 1 იანვარს ტაშკენტიდამ მიღებული:

„ღენ. კაუფმანისაგან მიწერილი წიგნი, რომელშიაც ავღანის ემირს შირ-ალის ტაშკენტში იპატიჟებს, 18 იანვრამდინ არ მიუვა შირ-ალის; ამის გამო იმას 5 თებერვლისათვის მოელიან აქ. ემირის ქარვანი, რომელიც წინათვე გამოგზავნილია ტაშკენტისაკენ, შესდგება: 9 სპილოსაგან და 2,000 ცხენისაგან, რომელზედაც მოჰყავთ ემირის ჰარემი და მოაქვთ აგრეთვე იმის ხაზინა და ყველა ქონება. იაკუბ-ხანს, რომელიც ავღანის გამგებლად დაინიშნა დროებით, შირ-ალიმ 900 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვა."

— ბერლინში მოსულა ამბავი, ვითომც შირ-ალი ისევ უკან ქაბულში აპირებს დაბრუნებასაო, რადგან დარწმუნდაო, რომ რუსეთისაგან ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებო.



# განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალზე

**„ОБЗОРЪ ГРАФИЧЕСКИХЪ ИСКУССТВЪ"**

(Журналъ печатнаго дѣла)

წლიწადში ეს ჟურნალი ღირს: გაუგზავნელად—4 მან., გაგზავნით—5 მან. მდიდრული გამოცემა, ჰოლლანდიის კარგს სქელს ქაღალდზე—წელიწადში 15 მანეთად.

**ხელის მოწერა** მიიღება **თფილისში**: უფ. სტ. ზ. მელიქიშვილთან, საკუთარს ტიპოგრაფიაში, ბანოვის ქუჩაზე, ანუ პეტერბურღში ხსენებული ჟურნალის რედაქციაში: ნევის პროსპექტზე, № 5.

(3—1)

---

**პირუტყვთ მფარველობის საზოგადოების** წევრნი და აგრეთვე ყველანი, ვისთვისაც ეს საგანი საინტერესოა, მოწვეულნი არიან მობრძანდნენ ამ საზოგადოების საერთო კრებაზედ, ამ იანვრის 20-ს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

ამ კრებაზე არჩეული უნდა იქმნენ საზოგადოების თავს-მჯდომარე და იმის თანაშემწე, წაიკითხავენ აგრეთვე წარსული წლის ანგარიშს საზოგადოების მოქმედებისას და განიხილვენ ზოგიერთ სხვა საგნებსაც.

(3—1)

---

## გასყიდვა
### ფას-მოუკლებლად

რადგან წვრილად ვაჭრობა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია **გასყიდვა** იაფფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შავი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ., შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

**თ**ამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „კავკაზის" პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია **მალაკოვისა**

(3—1)

---

## „ჰაეროსტატი"

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება **მ. ჯორჯაძისა**

---

ქუთაისში

## ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**—თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის და აწყი ი კურსი ქართველთათვი** (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ)—შედგენილი ზ. ქ. შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი ძლვ. ლამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა — — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი — — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალისმული და მაშენიკები**—კომ. თუთაევისა — — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — — — 25—

აქვე იყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

**სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.**

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ბლუმის ქვეშ.

---

გამოვიდა და ისყიდება **თფილისში**, მხოლოდ **ზ ა ქ ა რ ი ა  ზ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს** კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი"

**სხვა და სხვა ახალი სიმღერები**

**თ ქ მ უ ლ ი**

**გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.**

ფასი 30 კაპეიკი,

**მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შე-**



---

გაცანით აგრეთვე იგინი ყოველგვარ ჩვეულებებთან, რომელნიც ჰსუფევდნენ ხალხის ცხოვრებაში, სახლში თუ გარეთ, აგრეთვე კაცისა და დედაკაცის, მშობლების და შვილების ურთი-ერთ მიმართობა; აგრეთვე აუწერეთ ყოველ-გვარი ცრუ-მორწმუნოებანი, უდიდეს მითებიდგან დაწყებული, ვიდრე უუმცირეს საზოგადო ცრუ მორწმუნეობამდინ. შემდეგ აუწერეთ, თუ როგორი იყო განაწილებული ადამიანის შრომა; აუწერეთ გონებითი გალხნა ხალხისა სხვა და სხვა დროს, აღზდა, წინ-წარმატება სწავლაში და მეცნიერებაში; მეცნიერების მიმართულება, აგრეთვე არხიტექტურობა, (დაწყობილობა შენობისა), ქანდაკობა, ხატვა, სამოსელი, მუზიკა, პოეზია; არ გამუშვათ ყოველ-დღიური ხალხის ჩვეულებრივი ცხოვრებაც, საჭმელ-სასმელი, საცხოვრებელი შენობანი, ქეიფები და სხვ..

დასასრულად, ყველა ზემოთ-თქმულის შეკავშირებისათვის, საჭიროა გამოუხატოთ თეორეტიკული და პრაკტიკული ზნეობა ყველა წოდებისა თუ როგორ გამოცხადდა იგი კანონებში, ჩვეულებებში, ანდაზებში, შაირებში, ზღაპრებში, არაკებში, ყოფა-ქცევაში და სხვა და სხვა...

მხოლოდ ამ გვარ ისტორიის საფუძლიანათ შეჰსწავლას შეუძლიან დაგვიბადოს ჩვენ ჭეშმარიტი მოქალაქენი! მხოლოდ ამ გვარი ისტორიული ცნობანი შეიძლება გახდნენ სახელმძღვანელოთ მოქალაქისთვის როგორც მისს კერძო, აგრეთვე საზოგადო ცხოვრებაში!..

ვანო როსტომაშვილი

ზ. ქათალა, 12 ქრისტიშობისთვეს

## თფილისის პოლიციმეისტრისაგან

მე შემინიშნავს, რომ ვაჭრები და მოქალაქენი თავიანთ მაღაზიებიდამ, ეზოებიდამ, დუქნებიდამ და სახლებიდამ ისვრიან ხოლმე ნაგავს ქუჩაზე, რისგამოც ანაგვიანებენ ამ ქუჩებსა და ტროტუარებს.

რადგან ამ გვარი ქცევა მედუქნეებისა და სახლის პატრონებისა კანონი წინააღმდეგია და მავნებელი მცხოვრებლებისათვის, ამის გამო ვსთხოვ ამათ, რომ შემდეგში ნუ ჩაიდენენ ამ უწესოებასა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, დევნილი იქნება კანონით და სასამართლოში გაგზავნილი დასასჯელად. თფილისი, 22 დეკემბერი 1878 წ.

უფროსი პოლიციმეისტერი
პოდპოლკოვნიკი მერკლინგი

---

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაიევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, მული და მაშენიკები“**—თფილისში: ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან. ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწინ, ჭეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

---

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანტ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

---

მომავალ 1879 წელს

რუსული ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

## „თფილისის მოამბე“

(ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ)

გამოვა იმავე პროგრამმითა და იმავე თანამშრომლების მონაწილეობით, როგორც წელს გამოდიოდა.

### გაზეთის ფასი

| | გაუგზავნელად მან. კაპ. | გაგზავნით მან. კაპ. |
|---|---|---|
| ერთის წლით | 11— „ | 12— „ |
| ნახევარ წლით | 6— „ | 6—50 |
| სამი თვით | 3—50 | 4— „ |
| ერთის თვით | 1—25 | 1—50 |

**ხელის-მოწერა** მიიღება თფილისში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, № 3.

ქალაქ გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Тифлисъ въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника“. (5—5)

---

**ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთად ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურად, ყდიანი ორ აბაზად.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ერთად იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურად, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზად ასი ეგზემპლიარის ერთად მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული წაიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

---

| რკ. გზა. | დილ. | | ს ღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | [illegible] | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვ, ოდესს, მოსკოვ | 2 | — |
| პეტერბურგ, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნია . . . . . . . . | 4 |
| დახურულის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 15 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 65 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთ. | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 80 |
| მატყლი თუშური ფუთი | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვილი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარლევიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი - შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Генваря 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.